

მცირე და საშუალო წარმოების
ფინანსური ანგარიშგების
საერთაშორისო სტანდარტის
(მსს ფასს) შესაბამისად
მომზადებული ფინანსური
ანგარიშგება


2019 წელი

შპს ფეიდალ ჯორჯია

ს/პ 443 859 460

ანგარიშგები შედგენილია:

01.10.2020 წელი



FEIDAL®

ISO 9001
2015
CERTIFIED

SIC.MS.015.ISO9001.930

Georgia

სარჩევი:

	გვერდი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშება	3
შემოსავლის ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშება	4
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	5

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები				
	2019	2018	2017	2016
ფულადი სახსრები	648873	116732	180914	63733
სავაჭრო მოთხოვნები	953945	531287	372981	159924
გადახდილი ავანსები	179005	25000	25000	21835
მარაგი	1166016	893890	459636	308808
- მზა პროდუქცია		0		308808
- სხვა	1166016	893890	459636	
სხვა მიმდინარე აქტივები	4115	3779	439	117
ძირითადი საშუალებები	590124	507702	144402	87305
- მიწა	299942	299942		
- შენობა-ნაგებობა				
- სხვა ძირითადი საშუალებები	282988	204981	143284	87305
- არამატერიალური აქტივები	7194	2779	1118	
სულ აქტივები	3542078	2078390	1183372	641722
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
ვალდებულებები	2019	2018	2017	2016
ფინანსური იჯარის ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	414464	392188	337221	45791
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	1291	826	713	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ				
საგადასახადო ვალდებულებები	49638	44056	6176	46985
გამოუმუშავებელი შემოსავალი				
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	1300124	595000	275000	220000
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები				
მიღებული გრანტები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	1765517	1032070	619110	312776
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	151420	151420	166420	196420
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	1625141	894900	393869	132526
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
სულ კაპიტალი	1776561	1046320	564262	328946
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3542078	2078390	1183372	641722

შემოსავლის, ხარჯების და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

	2019	2018	2017	2016
ნეტო ამონაგები	4142555	2501279	1697249	559371
- საქონლის გაყიდვიდან	4141539	2496220	1688727	548361
- სხვა	1016	5059	8521	11010
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(2396095)	(1395638)	(1055048)	(371336)
- საწყისი მარაგი	-	-	-	-
- შესყიდვა	-	-	-	-
- საბოლოო მარაგი	-	-	-	-
საერთო მოგება	1746460	1105641	642201	188035
დასაქმებულთა ანაზღაურება	(486541)	(310969)	(178360)	(23379)
ცვეთა/ამორტიზაცია	(68394)	(49705)	(32121)	(17473)
საპროცენტო შემოსავალი				
საპროცენტო ხარჯი	(135360)	(60846)	(55201)	(9398)
იჯარის ხარჯი	(107543)	(60880)	(29035)	(7433)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(214573)	(140096)	(65836)	(4220)
სულ საოპერაციო ხარჯი	(1012411)	(622496)	(360553)	(61903)
სულ საოპერაციო მოგება	734049	483145	281648	126132
გაუფასურების (ხარჯი)				
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(3808)	(1087)	(46332)	6394.63
მოგება/(ზარალი)მოგების გადასახადის ხარჯამდე	730241	482058	235316	132526
განგრძობითო ოპერაციებიდან				
მოგება/(ზარალი)	730241	482058	235316	132526
მთლიანი სრული შემოსავალი/*ზარალი	730241	482058	235316	132526
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1046320	564262	328946	196420
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1776561	1046320	564262	328946

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ფეიდალ ჯორჯია (შემდგომში „კომპანია“) წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს-ის) შესაბამისად 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ კომპანია დაარეგისტრირდა 2014 წლის 07 ივლისს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 443 859 460

ამონაწერი სამწერმო რეესტრიდან ქართულ ენაზე - ლინკი:

[http://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFBT5rmPkPK8q4aRKTCAiibpS\]rxinZ5mKBm05mqQVT0\]](http://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFBT5rmPkPK8q4aRKTCAiibpS]rxinZ5mKBm05mqQVT0])

ამონაწერი სამწერმო რეესტრიდან ინგლისურ ენაზე - ლინკი:

[http://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFnnjdq4ZXM5skI\]x3CVI8AGrXXzy7Do8wFrOM677NvTX](http://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFnnjdq4ZXM5skI]x3CVI8AGrXXzy7Do8wFrOM677NvTX)

2019 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის წილებს ფლობდა ორი პარტნიორი:

ლევან გაგვიშვილი (01024023770) - 50%;

თენგიზ ხოჭავა (01024023770)- 50%.

ხელმძღვანელობა / წარმომადგენლობა

დირექტორი - ლევან გაგვიშვილი (01024023770)

დირექტორი - თენგიზ ხოჭავა (01024023770)

კომპანიის ძირითადი სამეწარმოო საქმიანობა 2019 წელს წარმოადგენს საბითუმო და საცალო ვაჭრობა სამშენებლო სარემონტო მასალებით.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ადამ მიცკევიჩის ქუჩა 25ბ

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვა

ამ ფინანსური ანგარიშგების შესადგენად გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები განხილულია ქვემოთ.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის(მსს ფასს)“ და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხების გადაყვანა. კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ეკონომიკური გარემოს ძირითადი ვალუტა, სადაც კომპანია საქმიანობს, კერძოდ კომპანიის სამუშაო ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა, ლარი.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო თარიღისთვის გადაყვანილია ლარში, ამ თარიღისთვის დადგენილი გასაცვლელი სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები ასახულია ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი გასაცვლელი სავალუტო კურსით. სარგებელი ან ზარალი, რომელიც წარმოქმნილია ამგვარი ოპერაციებისთვის განხორციელებული ანგარიშსწორების შედეგად და უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივების და ვალდებულებების ლარში გადაყვანით აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური გასაცვლელი სავალუტო კურსი იყო:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
აშშ დოლარი/ლარი	2.8677	2.6766	2.5922
ევრო/ლარი	3.2095	3.0701	3.1044
რუსული რუბლი/ლარი	0.0464	-	-

ამჟამად, ლარი არ წარმოადგენს თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას საქართველოს ფარგლებს გარეთ.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად. სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება, აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ვინაიდან არ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები, ფინანსურ ანგარიშგებაში ისინი აღრიცხულია ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია მოკლევადიან მოთხოვნებად.

სააქციო კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც საკუთარი კაპიტალი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები მოიცავს კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მომსახურების გაწევიდან მიღებულ ან მისაღებ ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

კომპანია მაშინ აღირებს ამონაგებს, როდესაც: შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება; მოსალოდნელია, რომ კომპანიაში შემოვა მომავალი ეკონომიკური სარგებელი; და დაკმაყოფილებულია კომპანიის შესაფერისი კრიტერიუმი: კომპანია ძირითადი საქმიანობა მოიცავს ქონების იჯარას, რომელიც წამოადგენს შემოსავლის მიღების ძირითად წყაროს.

მოგებიდან გადასახადი. მოგებიდან გადასახადები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია კანონმდებლობის იმ დებულებების შესაბამისად, რომლებიც ძალაში შესულია ან არსებითად ძალაში შესულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. 2017 წლის 1 იანვრამდე კომპანიის მოგების გადასახადის ხარჯი/(შემოსავალი) შედგებოდა მიმდინარე და გადავადებული გადასახადისგან და აღიარდა წლის მოგება ან ზარალში.

2016 წლის 13 მაისს ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებები, რომლის თანახმად კომპანიებს(ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდების გარდა) არ ევალებათ მოგებისა გადახდა 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ მიღებული მოგებიდან, სანამ ეს მოგება არ განაწილდება დივიდენდის სახით ან კომპანიას არ ექნება დივიდენდის სახით მისი განაწილების განზრახვა.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშგებო პერიოდში დაგროვილი მოგებიდან გაცემული დივიდენდები მოგების გადასახადით იბეგრება გადაანგარიშებული ღირებულების მიხედვით, რომელსაც აკლდება შესაბამისი საგადასახადო აქტივი, გამოთვლილი, როგორც დასაბეგრი მოგების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის ხვედრითი წილი იმავე პერიოდის მთლიანი წმინდა მოგების მიმართ, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო აქტივის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მოგების გადასახადის ფაქტობრივ ოდენობას, რომლითაც დაიბეგრება განაწილებული დივიდენდები.

დივიდენდების გადახდის შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა დივიდენდები,

დივიდენდების გაცემის ფაქტობრივი თარიღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომლისთვისაც ხდება დივიდენდების გადახდა.

3. ინფორმაცია განუსაზღვრელობის შეფასებისა და ხელმძღვანელობის მსჯელობის ძირითადი წყაროების შესახებ

შეფასებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მისი საქმიანობის შედეგები, კომპანიის ახლანდელი მიზნები და მომავლის შესახებ თავისი მოლოდინები.

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.

4. ფულადი სახსრები

	31.12.2019	31.12.2018	31.12.2017
ნაღდი ფული	88240.71	8008.36	13892.79
ლარი ბანკში	560633.01	108723.76	167021.3
	648873.72	116,732.12	180,914.09

5. ძირითადი საშუალებები

	31.12.2019	31.12.2018	31.12.2017
არამატერიალური აქტივები	7194	2779	1118
მანქანა-დანადგარები	56601	12013	2030
სატრანსპორტო საშუალებები	85781	62962	26244
ავეჯი და სხვა ინვენტარი	7835	5945	44110
მიწა	299942	299942	-
კაპ. რემონტი	36356	42772	50319
სხვადასხვა	25899	27776	20579
	590124	507702	144402

6. სხვა ვალდებულებები

	31.12. 2019	31.12.2018	31.12.2017
გრძელვადიანი სესხები პარტნიერებისგან ლარში	595000	595000	275000
გრძელვადიანი სესხები საკრედიტო ორგანიზაციებიდან ლარში	705124	-	-
	1300124	595500	27500

შპს ფეიდალ ჯორჯიას დირექტორი

ლევან გაგვიშვილი

